საქართველო
GEORGIA
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEPL - AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

59 თამარ მეფის ქ., ქუთაისი, 4600, საქართველო
ტელ.: (+995 431) 245 784; (+995 431) 243 833
ელ. ფოსტა: atsu@atsu.edu.ge

59, Tamar Mefe st., Kutaisi, 4600, Georgia
Tel.: (+995 431) 245 784; (+995 431) 243 833
E-mail: atsu@atsu.edu.ge

ბრძანება

№01-04/71 10.09. 2021 წელი

2021-2022 სასწავლო წლისათვის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის განსაზღვრის შესახებ

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდის ჩატარების ფორმა

1.1. გარდა საგნის გამოცდისა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აუცილებელია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება.

1.2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აწსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა ტარდება წერითი ფორმით (სამოტივაციო წერილი).

1.3. კონკურსანტის საგამოცდო ნამუშევარი ფასდება 100-ქულიანი სისტემით.

2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაფინანსება

პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული კვოტების შესაბამისად.

3. საგამოცდო განაცხადი. კონკურსანტთა რეგისტრაცია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

3.1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით და წარმატებით ჩააბარა აწსუ-ს მიერ განსაზღვრული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა.

3.2. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარება. პროგრამაზე დაიშვებიან მოქმედი მასწავლებლები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ საგნის გამოცდა ან არიან სერთიფიცირებულები; ასევე სერთიფიცირებული არამოქმედი მასწავლებლები. ისინი ისარგებლებენ სახელმწიფო დაფინანსებითაც.

3.3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მიზანია:

- მოამზადოს საბაზო და საშუალო საფეხურის (უცხო ენებისა და მუსიკის მასწავლებლის მიმართულების შემთხვევაში, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის) მასწავლებელი, რომელსაც ექნება შესაბამისი საგნის სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ცოდნა და პრაქტიკული უნარები.
- პროგრამის მიზნები და შედეგები შესაბამისობაშია მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ უფროსი მასწავლებლის მოთხოვნებთან

3.4. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აწსუ-ს მიერ განსაზღვრული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე აპლიკანტი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან დროულად გაიარა რეგისტრაცია სარეგისტრაციო კომისიაში და წარადგინა სათანადო საბუთები.

3.5. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აწსუ-ს მიერ განსაზღვრულ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაში მონაწილეობის მიღების საფუძველია აპლიკანტის წერილობითი განცხადება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაში მონაწილეობის მიღების სურვილის შესახებ.

3.6. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) ორი ფერადი ფოტოსურათი – 3X4;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი, მისივე დედნის წარდგენით;

გ) სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმეტის ასლი, მისივე დედნის წარდგენით;

დ) საქართველოში გაცემული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამტკიცებული ასლი;

ე) საგნის გამოცდის საგამოცდო ბარათი;

ვ) საგნის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი ცნობა;

ზ) საუნივერსიტეტო გამოცდაში მონაწილეობის საფასურის - 40 ლარის გადახდის ქვითარი;

4. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის მიმდინარეობა

3.1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აწსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა ტარდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

3.2. გამოცდის დაწყებამდე ერთი საათით ადრე აპლიკანტები გადიან საგამოცდო რეგისტრაციას, რეგისტრაციის გასავლელად რეგისტრატორებს წარუდგენენ პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.

3.3. აპლიკანტი ვალდებულია:

ა) დაუგვიანებლად გამოცხადდეს გამოცდაზე. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების (რეგისტრაციის დამთავრების) შემდეგ აპლიკანტი გამოცდაზე არ დაიშვება;

ბ) თან იქონიოს პირადობის მოწმობა;

გ) გამოცდის დამთავრების შემდეგ საგამოცდო დავალების ჩაბარებისას ხელი მოაწეროს სპეციალურ უწყისში;

დ) შეასრულოს ამ დადგენილებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებანი და გამოცდის დამკვირვებლის ცალკეული მითითებანი.

3.4. გამოცდის მსვლელობისას აპლიკანტს ეკრძალება:

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;

ბ) გამოცდაზე დამხმარე მასალის - სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვა გამოყენება;

გ) საგამოცდო დავალების ფურცელზე ან საგამოცდო ნაშრომზე მაიდენტიფიცირებელი ნიშნის (სახელი, ნომერი, მისამართი და სხვა) ან რაიმე სახის ისეთი გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალებასთან;

დ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა კონკურსანტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

ე) სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება. სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ უნივერსიტეტის მიერ გამოცდაზე მივლენილ თანმხლებ პირთან ერთად.

4.5. ნაშრომი, რომლის შესრულებისას გამოყენებული იქნება განსხვავებული ფერის მელანი ან რომელიც შეიცავს მაიდენტიფიცირებელ ნიშანს ან რაიმე სახის გამოსახულებას (რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალებასთან) არ გასწორდება.

4.6. ჩაბარებული საგამოცდო ნამუშევრები იკვრება სექტორების მიხედვით და გადაეცემა აწსუ საგამოცდო სექტორის ხელმძღვანელს.

5. აპლიკანტთა ნაშრომების გასწორება

5.1. საგამოცდო ნაშრომები, კოდირების შემდეგ, რეგისტრირდება და გამსწორებელთა კომისიას მიეწოდება აწსუ საგამოცდო სექტორის მიერ.

5.2. ნაშრომი, რომელიც შესრულებულია განსხვავებული ფერის ავტოკალმით ან რომელიც შეიცავს მაიდენტიფიცირებელ ნიშანს (სახელი, ნომერი, მისამართი და სხვა) ან რაიმე

სახის გრაფიკულ გამოსახულებას (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალებასთან, არ ექვემდებარება გასწორებას და ფასდება ნული ქულით.

6. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი

6.1. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 51 ქულით.

7. კონკურსანტთა რანჟირება

6.1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული მოდულის მიხედვით დგება მინიმალური კომპეტენციის ზღვარგადალახულ აპლიკანტთა რანჟირებული სია. რანჟირების სია დგება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მოდულების მიხედვით გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და აპლიკანტთა მიერ აწსუ-ს მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულის შესაბამისად. აპლიკანტები დალაგებული არიან შეფასებების კლებადობის მიხედვით.

8. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

8.1. აპლიკანტები, რომელთა რიგითი ნომრები აპლიკანტთა რანჟირებულ სიებში არ აღემატება შესაბამისი მოდულის საკონკურსო ადგილების რაოდენობას, სათანადო ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე რექტორის ბრძანებით ირიცხებიან უნივერსიტეტში (თუ რომელიმე უფლებამოსილი აპლიკანტი უარს განაცხადებს ჩარიცხვაზე, მაშინ ხელშეკრულების გაფორმების უფლება მიეცემა რანჟირებული სიით განსაზღვრულ შემდეგ აპლიკანტს, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8.2. თითოეული საგნის მიხედვით განსაზღვრული ადგილების შეუსევლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეცვალოს თითოეული საგნის მიხედვით განსაზღვრული ადგილების რაოდენობა ისე, რომ არ შეიცვალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დამტკიცებული ადგილების ჯამური რაოდენობა.

9. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების ჩატარების უზრუნველყოფის პროცედურა.

9.1. პედაგოგიური ფაკულტეტების დეკანატი, არაუგვიანეს 2021 წლის 23 სექტემბრისა, უზრუნველყოფს ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული გამოცდის (სამოტივაციო წერილის) შეფასების სისტემის წარმოდგენას. აწსუ მარკეტინგის, პროექტირებისა და

ღონისძებების მართვის სამსახური უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტის დაუყოვნებლივ განთავსებას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

9.2. კონკურსის ჩატარების მიზნით იქმნება საუნივერსიტეტო საკონკურსო კომისია.

9.3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების მსურველთა გამოცდის ჩატარებას და მაღალ დონეზე ორგანიზებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საგამოცდო სექტორი.

9.4. კონკურსს ატარებს რექტორის ბრძანებით შექმნილი საუნივერსიტეტო კომისია.

9.5. საბუთების მიღება წარიმართება 2021 წლის 9 სექტემბრიდან 24 სექტემბრის ჩათვლით, შაბათ-კვირის გარდა, სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ სარეგისტრაციო კომისიაში.

9.6. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ჩატარდება 2021 წლის 28 სექტემბერს 14 საათზე.

10. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება საინფორმაციო დაფაზე. მარკეტინგის, პროექტირებისა და ღონისძებების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს წარმოდგენილი დოკუმენტის დაუყოვნებლივ განთავსებას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

რექტორი **როლანდ კოპალიანი**

სასწავლო პროცესის მართვის
სამახურის უფროსი იმერი ბასილაძე

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის მოთხოვნები

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტი წერს სამოტივაციო წერილს.
- სამოტივაციო წერილი - მაქსიმალური ქულა 100. დადებითად შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა.
- სამოტივაციო წერილი შინაარსობრივად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - ❖ რატომ გსურთ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა, თქვენი მიზნები;
  - ❖ რატომ აირჩიეთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
  - ❖ რის მიღწევა გსურთ 3-5 წლის განმავლობაში;
  - ❖ როგორ გამოიყენებთ შეძენილ ცოდნას დარგში;
  - ❖ არჩეულ სფეროში აღწერეთ ერთი პრობლემა და მისი გადაჭრისთვის წარმოადგინეთ თქვენეული გადაწყვეტილება;
  - ❖ აღწერეთ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ძირითადი მახასიათებლები და წარმოადგინეთ თქვენეული ხედვა.
  - ❖ გაანალიზეთ მოცემული ტექსტი და წარმოადგინეთ თქვენეული ხედვა.
- სამოტივაციო წერილის შეფასების კრიტერიუმები:

თითოეული კრიტერიუმის ფარგლებში, მაქსიმალური შეფასებაა 5/10 ქულა. შეფასებები ჩაიშლება სამოტივაციო წერილის შესრულების ხარისხის მიხედვით. კერძოდ:

1. **მოტივაცია – 20 ქულა**

კრიტერიუმი	**ძალიან კარგი**	**კარგი**	**საშუალო**	**დაბალი**	**ძალიან დაბალი**
აპლიკანტის მოტივაცია მკაფიოა და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს	5	4	3	2	1
კანდიდატი ორიენტირებულია სფეროში (იცის, რა უნდა გააკეთოს მომავალში, რა კარიერული ზრდა და რა ცოდნის მიღება სჭირდება)	5	4	3	2	1
აპლიკანტს არგუმენტირებულად აქვს გააზრებული და ჩამოყალიბებული, თუ როგორ გამოიყენებს დარგში შეძენილ ცოდნას	5	4	3	2	1
სტრუქტურა, ენა და სტილი გამართულია	5	4	3	2	1

2. **არჩეულ სფეროში ერთი პრობლემა და მისი გადაწყვეტა - 40 ქულა**

კრიტერიუმი	**ძალიან კარგი**	**კარგი**	**საშუალო**	**დაბალი**	**ძალიან დაბალი**
პრობლემის მთავარი საკითხის ჩამოყალიბება	10-9	8-7	6-5	4-2	1
საკითხის გადაჭრის ალტერნატივები და ყველაზე ეფექტური მიდგომა	10-9	8-7	6-5	4-2	1
წარმოდგენილი სტრატეგიის (საკითხის გადაჭრის) არგუმენტირება	10-9	8-7	6-5	4-2	1
სტრუქტურა, ენა და სტილი გამართულია	10-9	8-7	6-5	4-2	1

3. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ძირითადი მახასიათებლები - 20 ქულა

კრიტერიუმი	ძალიან კარგი	კარგი	საშუალო	დაბალი	ძალიან დაბალი
აპლიკანტს მკაფიოდ აქვს გააზრებული თუ, რას ნიშნავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სტრუქტურა, ენა და სტილი გამართულია	10-9	8-7	6-5	4-2	1
აპლიკანტს არგუმენტირებულად აქვს გააზრებული მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ძირითადი მახასიათებლები და ჩამოთვლის მათ	10-9	8-7	6-5	4-2	1

4. ანალიტიკური წერა (მსჯელობა მოცემულ საკითხზე) - 20 ქულა

კრიტერიუმი	ძალიან კარგი	კარგი	საშუალო	დაბალი	ძალიან დაბალი
მსჯელობა ლოგიკურია, თანმიმდევრულია და პასუხობს საკითხის არსს, სტრუქტურა, ენა და სტილი გამართულია	10-9	8-7	6-5	4-2	1
აპლიკანტს არგუმენტირებულად აქვს დასაბუთებული ტექსტში მოცემული მოსაზრებები და წარმოადგენს საკუთარ ხედვას თანამედროვეობასთან კავშირში	10-9	8-7	6-5	4-2	1